

**საშობლოს განცდა
ტერენტი გრანელის პოეზიაში
SENSE OF HOMELAND
IN TARENTI GRANELI'S POETRY**

მანანა ჩიჩინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Manana Chichinadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The tearful poetry of Terenti Graneli was absolutely unacceptable for Georgian literary criticism in the 1920s. The nihilistic and skeptical attitude towards the poet was caused by the hostility and arrogance, on the one hand, and political and ideological conjuncture, on the other.

The Soviet proletarian criticism persistently tried to overshadow the poetry of Terenti Graneli because of its depressive background and pessimism. “Bursting into tears” (Zakaria Tchitchinadze) was utterly inadmissible for the socialist ideology.

Terenti Graneli just as Nikoloz Baratashvili had his soul torn apart due to his misfortune as well as the national grief caused by the loss of independence by his country. He is considered to be among those poets whose attitude towards the country’s enemies has always been consistently uncompromising and unwavering. For him, it was unacceptable to glorify the Bolshevik government with dithyrambs for personal gain; the Bolshevik regime which again deprived his beloved motherland of liberty and independence.

Through tender, lyrical lines the patriot poet shows affection towards every inch of his own country, his favorite places, both rural and urban. His love towards Tbilisi is unique for which the poet is willing to sacrifice his own life. Without Tbilisi, both life and death fade away.

Terenti Graneli is known as a poet with an uncompromised conscience. He is an untamed author and a freethinker who has broken free of the chains of ideological dogmas. Apart from approaching the themes of mysticism, sadness, and life and death, a modern reader can feel a distinct sense of oppositional attitudes incorporated in his lyrics, and his uncompromising position towards the Bolshevik regime.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ტერენტი გრანელი, პატრიოტიზმი.
Keywords: Georgian Poetry, Terenti Graneli, Patriotism.

ტერენტი გრანელის პოეზიის მომნუსხავი ძალა ისაა, რომ მასში, უდიდესი სუბიექტურობის მიუხედავად, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები ჩანს. მართალია, მის პოეზიაში მკაფიოდ იგრძნობა ლტოლვა, ძიება მარადიული იდუმალების, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა არსებული მესამე განზომილებისადმი, მაგრამ პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადი ის წყევლა-კრულვიანი საკითხიცაა, ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნად რომ სახელდება.

ტერენტი გრანელის პოეზიის გაცნობისას მკითხველს, ერთი შეხედვით, არცთუ უსაფუძვლოდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ ლექსების ავტორი ინდიფერენტულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, განზე დგას საზოგადოებრივი ინტერესებისაგან, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მის პოეზიაში უთუოდ იგრძნობს მის ოპოზიციურ სულისკვეთებას, მკვეთრ პროტესტს ანექსირებულ სამშობლოში გამეფებული რეჟიმისადმი. ცნობილია, რომ ტერენტი გრანელი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისოდ იბრძოდა ჯერ კიდევ ჭაბუკობიდან, როცა ის ნაციონალისტ-ფედერალისტების ბანაკში იმყოფებოდა და აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. იგი თავისი მოწოდებებითა და საჯარო გამოსვლებით გაბედულად ამხელდა სოციალ-დემოკრატების ანტიეროვნულ ბუნებას: „...ჩვენ შეგვწევს ძალა და უნარი, შევინარჩუნოთ ეროვნული თავისუფლება. დეე ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ გვწყურია თავისუფალი ცხოვრება, და არავის ნებას არ მივცემთ, აბუჩად აიგდოს ჩვენი უზენაესი უფლებები“, – წერდა ტერენტი გრანელი 1919 წელს. მაშინაც, როცა იდეოლოგიური დიქტატურა ცდილობდა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების მოთვინიერებას და აიძულებდა მწერლებს ჩამდგარიყვნენ ახალი ეპოქის სამსახურში, ტერენტი გრანელს ეყო შინაგანი ძალა დარჩენილიყო თავისუფალ შემოქმედად და არ დასდგომოდა კომპრომისის გზას. როგორც მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ტერენტი გრანელის პოეზია პრინციპულად იდგა შორს ყოველგვარი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი კონიუნქტურისაგან. მის შემოქმედებაში, ამ თვალსაზრისით, ყველაზე ჭირვეული მკითხველიც კი ვერ იპოვის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც იდეოლოგიური კომპრომისით იყოს დაღდასმული“ (ნიკოლეიშვილი 2013: 366). რა თქმა უნდა, ტერენტი გრანელი, როგორც თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედი, მიუღებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის და, შესაბამისად, XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის. პროლეტარული კრიტიკა მიზანმიმართულად ცდილობდა ტერენტი გრანელის პოეზიისთვის მტვერი წაეყარა, რადგან მისი ლექსებისთვის დამახასიათებელი სულიერი დეპრესია და პესიმიზმი, „ცრემლებში ჭყუმპალაობა“ (ზ. ჭიჭინაძე) სრულიად არ შეეფერებოდა სოციალისტურ აღმშენებლობას და მიუღებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისთვის, რის გამოც ვერ შედგა მხატვრული კომუნიკაცია საბჭოთა ხელისუფლებასა და პოეტს შორის. სულ სხვაა ტერენტი გრანელისა და ქართველი მკითხველის ურთიერთობა. ამ უკანასკნელმა ტერენტი გრანელის პოეზიაში მკაფიოდ შეიგრძნო პოეტის ეროვნული და პიროვნული ტრაგედიის შერწყმა სამყაროსეულ ტრაგედიასთან და დიდი თანაგრძნობით განიმსჯავს მის მიმართ.

ქართველმა მკითხველმა გრანელის ლექსებში ბარათაშვილისეული ტკივილი ამოიკითხა, დაინახა, რომ გრანელს ბარათაშვილივით

სულს უფლეთს როგორც პირადი უიღბლობა, ისე თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის წართმევით გამოწვეული ეროვნული სევდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეტი შინაგანი ძალა, ოპტიმიზმი და მომავლის რწმენა ბარათაშვილს აღმოაჩნდა. ტერენტი გრანელის ლექსებში გამოხატულ მწარე ფიქრს, სევდას, უიმედობას ამძაფრებდა ის შავბნელი ეპოქა, როცა საქართველოს ცაზე „კაენის სული დასრიალებდა“. გრანელი იმ პოეტთა გვერდით დგას, რომელთა დამოკიდებულება სამშობლოს მტრებთან ბოლომდე თანამიმდევრული იყო – შეუვალი და უკომპრომისო. მას დიტირამებით არასოდეს შეუძვია ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელმაც თავის სათაყვანებელ სამშობლოს ხელმეორედ დააკარგინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა:

რადაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
 უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
 მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
 მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს,
 როგორც ოხვრა შორეული გედის,
 ანდა როგორც მარმარილო ცივი.
 მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
 მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს („სამშობლოს“).

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტის მიმართ თავისი მკვეთრი ნეგატიური დამოკიდებულება, სხვა მწერლებთან ერთად, ტერენტი გრანელმაც გამოხატა ერთი უსათაურო ლექსით, რომლის ხელნაწერი 1921 წლით არის დათარიღებული და წამმღვარებული აქვს ასეთი მინაწერი: „დახოცილებთან ერთად დაჭრილი იუნკერებიც დაუმარხავთ“. როგორც გელა მამფორია ვარაუდობს: „...კოჯორთან და ტაბახმელასთან გამართული უთანასწორო ბრძოლების შემდეგ პოეტს ან სხვებისგან სმენია, ან თავად უხილავს ბოლშევიკური რეჟიმის მიერ ჩადენილი ტრადიციული სასასტიკე დაჭრილ-დახოცილ ქართველ პატრიოტთა ერთ სამძო საფლავში ჩაყრის ფაქტი“, რამაც მას დააწერინა ტკივილით სავსე ორსტროფიანი ლექსი, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოში საბჭოთა წყობილების პირველი დღეების სისხლიან ქრონიკას:

ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა,
 მოვიდა ქარი, ხე შეარხია.
 და საქართველო ეს ის მხარეა,
 სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.
 ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა,
 შორს უხილავი ლურჯი ბაღია,
 და საქართველო ეს ის მხარეა,
 სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.

უსაფუძვლო არ არის მკვლევარ ს. სიგუას მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ეროვნული სევდა, რომელიც დაეუფლა არაერთ პოეტს, ტერენტი გრანელმა გლოვად აქცია. იგი აღმოჩნდა ერთ-ერთი, რომელიც ამ მოტივს ბოლომდე შერჩა და ეპოქის ქარიშხლით დაწეწილი ნერვები სტრიქონებად გადმოსცა“ (სიგუა 1988: 167). მართალია, წუთისოფლის წარმავლობაზე პოეტის მარადიული გლოვის, თავისი და, ზოგადად, ადამიანის უმწეობის ფილოსოფიურ-პოეტური გააზრების ფესვები უფრო მის პიროვნულ, ფსიქოლოგიურ ნატურაშია საძიებელი, თუმცა არც ეროვნული სატკივარი

უმნიშვნელო ფაქტორი, რომელმაც, როგორც ზემოთ ვთქვით, გაამძაფრა მისი საწუხარ-საფიქრალი.

დიახ, პირქუშ „სისხლის და ცხედრების“ უხვად მომტან დაუნდობელ ეპოქას, რომელმაც ომი გამოუცხადა ადამიანს და იგი დროის ტყვედ აქცია, არ შეეძლო პოეტში შინაგანი ამბოხება არ გამოეწვია მის არმისაღებად, რამეთუ იგი მიელტვოდა ისეთ საზოგადოებას, რომლის წიაღში ადამიანი იქნებოდა თავისუფალი და ბედნიერი. სავსებით მართალია ა.ნიკოლეიშვილი, როცა წერს: ტერენტი გრანელი „ცხოვრებას პრინციპულად არ ღებულობს ისეთად, როგორადაც ისაა მოწყობილი“ (სიგუა 1988: 167). მართალია, ადამიანის ამბოხი შეიძლება გამოიხატოს ხმაურით, მაგრამ ასევე შეიძლება გახმოვანდეს დუმლით, როგორც ერთგვარი გამოხატულება პროტესტისა. სხვაგვარად, უბრალოდ, დაუჯერებელია, რუსული ჩექმითა და ხიშტით თავსმოხვეული ძალაუფლებისადმი კაპიტულაცია გამოეცხადებინა პოეტს. მისი ლექსები: „საბედისწერო რიცხვები“, „სულის ცეცხლი“, „ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს“, რამდენიმე უსათაურო, სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი და სხვა ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩენენ მათი ავტორის სათაყვანებელი სამშობლოს უბედობით ფერფლადქცეული გულის სატკივარს. არც ერთი ეს ლექსი „რკინის საცერში“ გაცხრილული ქართული ეროვნული ცნობიერების შედეგად არ დაწერილა...

არის ფარული გულის ანთება

და მოწამლული ვედრების სფერო.

სულის გარშემო ნელა ღამდება

და მოდის რიცხვი საბედისწერო.

ქრება ღიმილი და გაგიჟება,

ეცემა ალი ყრუ ლანდემინებს,

შავი თოვლივით თვალწინ იშლება:

თბილისი, ცრემლი, დღე რამდენიმე („საბედისწერო რიცხვები“).

ლექსში სრულიად ნათლად წარმოჩნდება პოეტის სამართლიანი შეშფოთება იმ მოსალოდნელი საფრთხის გამო, რომელიც მის სამშობლოს ემუქრება და არა მარტო სამშობლოს, არამედ თვითონ მასაც, რაც თავის ერთ უსათაურო ლექსშიც ნათლად ჩანს: „და საქართველო ჩემთვის დარდა“ (უსათაურო); „მე ვსტირი ქვეყნის უკუღმართობას/ და ჩემს დაღუპვას აუცილებელს“ („სულის ცეცხლი“).

ლექსი „სულის ცეცხლი“ ტ. ტაბიძეს შეტანილი აქვს 1921 წლის კრებულში „რევოლუციის პოეტები“, რომლის შესახებ გ. მამფორია წერს: „გრანელის ლექსი ერთადერთია, რომელიც არანაირად არ ჯდება კრებულის საერთო თემატიკაში და შეუძლებელია მის შემდგენელ-რედაქტორს, თვითონ სტოიკური ბუნების შემოქმედს – ტიციან ტაბიძეს არ სცოდნოდა ტერენტი გრანელის „სულის ცეცხლში“ გატარებული პოეტური განწყობის ქვეტექსტები, ვფიქრობთ, შემდგენელმა იგი შეგნებულად შეიტანა კრებულში ეპოქის რეალური ხასიათის ჩვენების მიზნით (მამფორია 2006).

სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,

დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი.

ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა,

კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი.

ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები

და შორეული რაინდების უმწეო შფოთი.

სამარადისო მწუხარება მოკლული თვალების
და ჩემი სული, ამართული, ვით ეშაფოტი („სულის ცეცხლი“).

ვეთანხმებით გ. მამფორიას, რომ ლექსის ავტორმაც და კრებულიც რედაქტორმაც ბოლშევიკური რევოლუციის გამანადგურებელი შედეგების საჩვენებლად, ერთი ყალბი პათეტიკით განსჭვალული სტრიქონით („**ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა**“) შეაპარეს საბჭოთა ცენზურას ეს ლექსი, რომელშიც ხაზგასმული „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარი ტყვიები, შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლული თვალების, ეშაპოტივით აღმართული პოეტის სული“ მკაფიოდ მიაჩნებენ ეპოქის შინაარსსა და ხასიათზე.

ლექსი „ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს“ 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება. პოეტი დიდ სინანულს გამოთქვამს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოკვლის გამო, რამეთუ იგი მას დიდ ეროვნულ გმირად მიიჩნევს და თვლის, რომ მისი სიკვდილით საქართველო დაჭრეს გულში. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა და საქართველო ზღვაში გემივით ძლიერი ქარიშხლის წინაშე აღმოჩნდა, პოეტი მაინც არ კარგავს მომავლის იმედს, დარწმუნებულია, რომ თავისუფლების მზე საქართველოსთვისაც გამოანათებს, იგი ფენიქსივით აღიმართება, ლაზარესავით მკვდრეთით აღდგება:

კვდება ეს მდელო და ეს ქარია,
და საქართველო ახლა მკვდარია.
დილაზე მდელოს ვუმზერ სპეტაკი
და საქართველოს ციდან ვეძახი:
მათ საქართველო დღეს გულში დაჭრეს,
ახლა ძნელია სულის მიგნება.
ირგვლივ ღამეა, არ ჩანს მესია
და საშინელი ეს გაციგნება.
მაგრამ... ლაზარე აღსდგება მკვდრეთით,
აღსდგება, როგორც ღვთის სიყვარული.
მას ვამბობ, როგორც ვამბობდი, კმარა/!!!

მზეო ამოდი, ამოდი ჩქარა!!! („ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს“).
პოეტი რომ მლოცველივით დიდი მოთმინებით ელის ღვთის წყალობას–დროისცვლილებას, ნათლად ჩანს კიდევ მის უსათაურო ლექსში:

გულია ისევ მსოფლიოს ღერძი,
თანამედროვე ცხოვრება მებრძვის.
შორს იძირება რაღაც საგანი,
არც იმედია, არც გასაქანი.
ვდგავარ ქვეყნის წინ,
როგორც მლოცველი,
ვითმენ წამებას,
სხვაგვარ დროს ველი.

პატრიოტი პოეტი ნაზი ლირიკული სტრიქონებით ეფერება სამშობლოს ყოველ გოჯ მიწას, საყვარელ ადგილებს, ქალაქებსა და სოფლებს: წალენჯიხას, წაღვერს, ზუგდიდს, ქუთაისს, თბილისს... მაგრამ განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებს იგი თბილისის მიმართ. მის ლექსებში თბილისის ხატება სხვადასხვა რაკურსითაა წარმოჩენილი.

მთელი ციკლი აქვს პოეტს თბილისისადმი მიძღვნილი. ტერენტი გრანელის თბილისისადმი უსაზღვრო სიყვარულზე წერს ნ. ხელაია: „ტერენტი გრანელისათვის თბილისი აღთქმული ქვეყანასავით გამოიყურებოდა. პოეტის ყველა ოცნება და სიმაღლე თბილისიდან იწყებოდა და თბილისშივე მთავრდებოდა. საოცარი მზითა და თავისებური ხიბლით განათებული ქალაქის მიმზიდველობა პოეტისთვის ყოველთვის სანატრელი იყო“ (ხელაია 2018: 82).

ახლა შორიდან ვიგონებ ქუჩებს, ქალაქს დაფერფლილს,

მოვშორდი თბილისს და თითქოს უცებ გადავსხვაფერდი

(„ახლა შორიდან ვიგონებ თბილისს“).

მზის ნაპერწკალი ეშვება ციდან,

მოდის შუადღე, როგორც ანთება,

ისევ თბილისის შუქი მიზიდავს,

ისევ თბილისის ცა მენატრება („სოფლიდან თბილისი“).

პოეტის სიყვარული თბილისისადმი გასულიერებულია, გაპიროვნებული. სადაც არ უნდა იყოს ან როგორც უნდა იყოს, მისი ოცნება და სული მაინც თბილისისკენ ისწრაფვის. ლექსში „გული თბილისისათვის“ პოეტი მზადაა სიცოცხლე გაილოს მისთვის. უთბილისოდ არც სიცოცხლე უღირს და არც სიკვდილი: მე ახლა აღარ ვარ/. ჩემი გული გადაეცით თბილისს/, თუ აღმოჩნდა სადმე („გული თბილისისათვის“); და თბილისის წინაშე სანთელივით ვილევი („შორეული ყვავილები“); მზიანი დღეა, მე ჩინარს ვუშხერ/. სოფლის სიჩუმეს დემონი იცავს/, მალე მოვკვდები და ვიცი ,გულზე/ რომ დამაყრიან თბილისის მიწას („სოფლიდან თბილისი“).

რთულია, იმ ავადსახსენებელ ეპოქაში, რომელშიც პოეტს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, სულიერი სიწმინდე შეენარუნებინა ადამიანს, მით უფრო, ხელოვანს. ტერენტი გრანელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბოლომდე გაუყიდავი სინდისის, იდეოლოგიური დოგმებით შეუბოჭველი, „მოუთვინიერებელი“, თავისუფალი აზროვნების შემოქმედად დარჩა. მის პოეზიაში მისტიკის, ყოფნა-არყოფნისა და სევდის თემებთან ერთად თანამედროვე მკითხველი მძაფრად შეიგრძნობს ოპოზიციურ სულისკვეთებას, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეოცნებე პოეტის უკომპრომისო პოზიციას ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

ალიმონაკი 1997: ტერენტი გრანელი MEMENTO MORI! რედაქტორი ლ.ალიმონაკი. თბილისი, 1997.

მამფორია 2006: მამფორია გ., გრანელის სამშობლო (1921-1924 წწ.). კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №11, 2006. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe> დამოწმება: 08.07.2021.

ნიკოლეიშვილი 2002: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა. ქუთაისი, 2002.

ნიკოლეიშვილი 2007: ნიკოლეიშვილი ა., მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 2007.

სიგუა 1988: სიგუა ს., ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი. თბილისი, 1988.

ხელაია 2018: ხელაია ნ., ტრაგიკული სახელები ქართულ პოეზიასა და პროზაში. თბილისი, 2018.